18/07/2025

MES 8 25 0000888958

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი
სამუშაო შეხვედრა
შეხვედრის ოქმი №3

ნაფარეული, თელავი
27-28.06.2025

2025 წლის 27-28 ივნისს, გაიმართა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) საკოორდინაციო საბჭოს გასვლითი შეხვედრა, რომელსაც საკოორდინაციო საბჭოს წევრები და ცენტრის წარმომადგენლები დაესწრნენ.
შეხვედრა გახსნა და მონაწილეებს დღის წესრიგი გააცნო ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ლაშა მარგიშვილმა. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული იყო პირველი არაონლაინ ფორმატში ორგანიზებული, გასვლითი შეხვედრა განახლებული საბჭოს ფარგლებში, სხდომის თითოეულმა წევრმა წარადგინა საკუთარი თავი.
ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ დღის განმავლობაში საუბარი იქნებოდა ENQA-ს რეკომენდაციებზე. მნიშვნელოვანი და ღირებულია ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს წევრების უკუკავშირი და მოსაზრებები საკითხთან დაკავშირებით, რადგან საბჭო შედგება მრავალმხრივი გამოცდილების და კვალიფიკაციების მქონე ადამიანებისგან, რაც ცენტრს მისცემს შესაძლებლობას შეჯერდეს იმ საუკეთესო გზებზე, თუ როგორ შეიძლება რეკომენდაციების გათვალისწინება და შესრულება.
უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) და უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების დამოუკიდებელი სააგენტოების ევროპული რეესტრის (EQAR) რეკომენდაციების შესრულების ადმინისტრირების მიზნით შეიქმნა და მიმდინარე წლის 28 აპრილს, ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით დამტკიცდა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც უკვე რამდენიმე შეხვედრა ჩაატარა და ENQA-ს რეკომენდაციების შესრულების მიზნით, შეიმუშავა შესაბამისი ცვლილებების პროექტი.
დღის წესრიგის შესაბამისად, ლაშა მარგიშვილმა საკოორდინაციო საბჭოს წარუდგინა ENQA-ს რეკომენდაციები და მისი შესრულების მიზნით, ცენტრის დებულებასა და კანონქვემდებარე აქტებში დაგეგმილი ცვლილებები. ასევე მან აღინიშნა, რომ ცენტრმა უკვე განახორციელა რიგი ცვლილებები, რომელიც მიმართული იყო რეკომენდაციების შესრულებისკენ, კერძოდ, საკოორდინაციო საბჭოს უფლებამოსილების ვადისა და ფუნქციების გაზრდა, დირექტორის დანიშვნა/გათავისუფლების საკითხები.
ცვლილებები პროექტის წარდგენის შემდგომ, გაიმართა დისკუსია. განხილულ იქნა საკოორდინაციო საბჭოსა და ცენტრის დირექტორს შორის ბალანსის გადანაწილების საკითხი და გარკვეული უფლებამოსილების გადაცემა საბჭოსთვის.
დამსწრე პირებმა დეტალურად განიხილეს სხვა რეკომენდაციებთან დაკავშირებით განსახორციელებელი აქტივობებიც.
შეხვედრის მეორე დღე დაეთმო ცენტრის 2026-2030 წლების სტარტეგიის პროექტის განხილვას. ცენტრის დაგეგმვის, კვლევისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსმა, ლაშა ზივზივაძემ წარადგინა ცენტრის 5 წლიანი სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები.

ცენტრის მომდევნო ხუთი წლის სტრატეგიული გეგმა უნდა დამტკიცდეს მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში. მან აღნიშნა, რომ დოკუმენტის შემუშავებისას აქტიურად იყვნენ ჩართულები ცენტრის სამსახურები და ამავდროულად, გათვალისწინებული და გამოყენებულია, 2021-2025 წლების სტრატეგიის შუალედური (სამწლიანი - 2021-2023 წლების) შეფასების დოკუმენტი და საერთაშორისო ვალდებულებები, ისევე როგორც ENQA, EQAR-ის რეკომენდაციები, ცენტრის თვითშეფასების დოკუმენტი (შეფასების საერთო ჩარჩო - CAF), რომელიც 2023 წელს დაინერგა და ცენტრის სერვისების მომხმარებელთა კვლევები და შესაბამისი ანგარიშები.
საკოორდინაციო საბჭოს წევრებს წარედგინათ ცენტრის ხედვა, რომლის მიხედვით, ცენტრი წარმოადგენს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე აღიარებულ და დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რომელიც საერთაშორისო სტანდარტების ჰარმონიზაციით და ქვეყნის საჭიროებებიდან/ამოცანებიდან გამომდინარე, განათლების ყველა საფეხურზე, უზრუნველყოფს განათლების ხარისხის მდგრად გაუმჯობესებას, უმაღლესი განათლების მიმართულებით ეროვნული კვალიფიკაციების განვითარებას და განათლების აღიარებას. თავის მხრივ, საკოორდინაციო საბჭოს წევრებმა წარმოადგინეს რელევანტური უკუკავშირი. ლაშა ზივზივაძემ მადლობა გადაუხადა საკოორდინაციო საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სტრატეგიის პროექტი გაუზიარდება საბჭოს ყველა წევრს.
შეხვედრის ბოლოს, ლაშა მარგიშვილმა სამუშაო შეხვედრის მონაწილეებს მადლობა გადაუხადა თანამშრომლობისთვის, აქტიურობასა და მხარდაჭერისთვის. ამასთან, აღნიშნა, სტრატეგიის პროექტი განხილული იქნება სამინისტროსთან, დაინტერესებულ მხარეებთან, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საბჭოებთან, ექსპერტებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და შემდეგ უკვე ჩამოყალიბდება დოკუმენტის საბოლოო ვერსია, რომელიც გაზიარდება საკოორდინაციო საბჭოსთან.

Minutes of the Coordination Council Meeting
Working Meeting
Minutes of the Meeting №3

Napareuli, Telavi
27-28.06.2025

On 27–28 June 2025, an off-site meeting of the Coordination Council of the LEPL – National Center for Educational Quality Enhancement (herein after referred to as the NCEQE) was held, attended by members of the Coordination Council and representatives of the NCEQE.
Acting Director of NCEQE, Lasha Margishvili opened the meeting and outlined agenda to the participants. Given that this was the first off-site meeting of the renewed Council, each participant introduced themselves.
Lasha Margishvili noted that, during the day, there would be discussions regarding the recommendations of ENQA, and the feedback and opinions of the Council members on this matter are of particular importance and value, since the Council is composed of individuals with diverse experience and qualifications. This will enable the NCEQE to agree on the best ways to consider and implement the recommendations.
In order to administer the implementation of the recommendations of the European Association for Quality Assurance in Higher Education (ENQA) and the European Quality Assurance Register for

Higher Education (EQAR), a working group was established and approved on April 28 of this year by the Order of the Acting Director of the NCEQE. The working group has already held several meetings and developed a draft of relevant amendments in order to implement the ENQA recommendations.
In order to administer the implementation of the recommendations of the European Association for Quality Assurance in Higher Education (ENQA) and the European Register of Independent Agencies for Quality Assurance in Higher Education (EQAR), a working group was established and approved on April 28 of this year by the order of the Acting Director of the Center.
In line with the agenda, the recommendations issued by ENQA and the planned amendments to the NCEQE's statute and subordinate legislation aimed at addressing them were presented to the Coordination Council. It was noted that the NCEQE has already implemented a number of changes to meet the recommendations, in particular the increase of the mandate and functions of the Coordinating Council, as well as revisions concerning the appointment and dismissal procedures of the Director.
After the presentation of the draft amendments, a discussion was held. The discussion focused on the redistribution of the balance of authority between the Coordinating Council and the Director of the NCEQE, including the potential delegation of certain powers to the Council.
The second day of the meeting was dedicated to discussing the draft of the NCEQE's 2026–2030 strategy. Lasha Zivzivadze, Head of the NCEQE's Planning, Research, and International Relations Department, presented the key directions of the NCEQE's five-year strategy. The NCEQE's strategy for the next five years should be adopted in September, 2025. He noted that the drafting of the document actively involved the NCEQE's departments and, at the same time, the interim (three-year, 2021–2023) evaluation documents of the 2021–2025 strategy, international obligations, the recommendations of ENQA and EQAR, the NCEQE's self-assessment document (the Common Assessment Framework – CAF), which was introduced in 2023, as well as various studies of users of the NCEQE's core services and related reports, were considered and applied.
NCEQE's Strategy Vision was presented to the members of the Coordination Council. According to this vision, the NCEQE is an independent organization, recognized nationally and internationally, which - through the harmonization of international standards and based on the needs/objectives of the country- ensures the sustainable improvement of education quality at all levels of education, the development of national qualifications in higher education, and the recognition of education. Coordination Council members gave the relevant feedback.
Lasha Zivzivadze thanked the members of the Coordination Council and noted that the draft strategy would be shared with the Council's members.
At the end of the working meeting, Lasha Margishvili thanked the participants for their collaboration, active engagement, and feedback. He also noted that the draft strategy would be discussed with the Ministry, relevant stakeholders, the Authorization and Accreditation Councils, experts, and educational institutions. After the consultations, the final version of the document will be prepared and shared with the Coordination Council.

დანართი (Annex) 1:

სახელი, გვარი **Name, Surname**	**პოზიცია** **Position**	**საკოორდინაციო საბჭო** **Coordination Council**
ირმა გრძელიძე Irma Grdzelidze	შპს კავკასიის უნივერსიტეტის საერთაშორისო აკრედიტაციის სამსახურის ხელმძღვანელი Head of the Strategic Development and International Accreditation Service at LLC Caucasus University	საბჭოს თავმჯდომარე Council Chairperson

თათია უბერი Tatia Uberi	ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის წარმომადგენელი, შპს კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტი Representative of the Association of Georgian Student Organizations, PhD student of the Law School of the Caucasus University LLC, the Secretary of the Council	საბჭოს მდივანი Council Secretary
დიანა ფრეიბერგერი **Diana Freiberger**	ბიზნესის ადმინისტრირების აკრედიტაციის საერთაშორისო ფონდის (FIBAA) აღმასრულებელი დირექტორი Executive Director of the Foundation for International Business Administration Accreditation (FIBAA)	საბჭოს წევრი Council Member
დევიდ გორდონი **David Gordon**	მანჩესტერის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ემერიტუსი პროფესორი	საბჭოს წევრი Council Member
ლევან კერესელიძე **Levan Kereselidze**	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საფინანსო დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი Head of the Finance Department and Assistant Professor at the Faculty of Economics and Business at (LEPL) Ivane Javakhishvili Tbilisi State University	საბჭოს წევრი Council Member
თამთა გრიგოლია **Tamta Grigolia**	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინიტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტში „ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო სახელმძღვანელოების განვითარების" პროგრამის „ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარება და სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა ეროვნული უმცირესობების სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებში" ქვეპროგრამის მენეჯერი Manager of the sub-program "Development of the National Curriculum and Implementation of State Standards in Preschool and School Institutions for National Minorities" within the "National Curriculum and School Textbooks Development" program of the Department of Preschool and General Education Development at the Ministry of Education, Science, and Youth of Georgia	საბჭოს წევრი Council Member
მაია ახვლედიანი **Maia Akhvlediani**	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი Associate Professor at the Faculty of Education at (LEPL)Akaki Tsereteli State University	საბჭოს წევრი Council Member
გიორგი ჩუმაშვილი **Giorgi Chumashvili**	ა(ა)იპ - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის წარმომადგენელი, შპს ,, თინეთის“ გენერალური დირექტორი Representative of Georgian employers' association, General Director of "Tineti" LLC	საბჭოს წევრი Council Member

სოფიო ლონდარიძე **Sophio Londaridze**	ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს ადმინისტრაციული გუნდის ლიდერი Administrative Team Leader at N(N)LE Skills Agency Georgia	საბჭოს წევრი Council Member
მაია რუხაძე **Maia Rukhadze**	სსიპ - ქალაქ თბილისის №221-ე საჯარო სკოლის ქიმიის მასწავლებელი Chemistry Teacher at (LEPL)Tbilisi Public School No. 221	საბჭოს წევრი Council Member
ლიანა კოლხიტაშვილი **Liana Kolkhitashvili**	შპს „ტრენინგ ლაბის“ დირექტორი Director of "Training Lab" LLC	საბჭოს წევრი Council Member

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
საკოორდინაციო საბჭო
მდივანი
უბერი თათია

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
საკოორდინაციო საბჭო
თავმჯდომარე
გრძელიძე ირმა